

# თევზის საკვები კობრისთვის (50-500 გრამი)



## ბროუერი

**კობრის საკვები** - არის მზა კომბინირებული საკვები კობრისებრთა თევზების გამოსაკვებად, რომელიც შემუშავებულია კობრის გამოსაკვებად გამომზადის ყველა სტადიაზე, ლიფსიტობიდან სასურსათო თევზის მიღებამდე.

- კობრის საკვებით დროის მოკლე პერიოდში საკვებზე ნაკლები დანახარჯით მიიღება მაქსიმალური შედეგები;
- კობრის საკვები მზადდება უმაღლესი ხარისხის ნედლეულით;
- კობრის საკვები მორგებულია თევზის განვითარების სხვადასხვა ფაზას;
- კობრის საკვები მხარს უჭერს თევზის ჯანმრთელობას და უზრუნველყოფს სასასურსათო თევზის მაღალ საგემოვნო თვისებებს.

### გამოყენებული ინგრედიენტები:

HENDRIX კობრის კონცენტრატი, ომეგა ცხიმოვანი მჟავები - პროფიმ ომეგა, სოიოს შროტი, მესუსმირის შროტი, სიმინდი, ქერი და სხვა მცენარეული წარმოშობის ნედლეული, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობით.

- შენახვის ვადა:** დამზადებიდან 2 თვე (შენახვის წესების დაცვის შემთხვევაში).
- შენახვის წესი:** მშრალი, გრილი და მზისგან დაცული ადგილი.

### გამოყენების ინსტრუქცია:

კობრისთვის საკვების მიწოდება ხდება ორი მონაცემის: **წყლის ტემპერატურის და ტბორში თევზის საერთო მასის გათვალისწინებით**. ყოველ 100კგ თევზს დღე-ღამის განმავლობაში უნდა მიენოდოს საკვები მოცემული ცხრილის შესაბამისად:

წყლის ტემპერატურა °C	10	12	14	16	18	20	24	>24
საკვების რაოდენობა *	0.7	1	1.5	2	2.5	3	3.5	

\* კგ საკვების რაოდენობა 100კგ თევზზე დღე-ღამეში.

**მაგალითად:** ტბორს თევზის მასა 1000 ცალი 100 გრამიანი თევზის პირობებში 100 კილო-გრამია. შესაბამისად 18°C ზე 100კგ თევზის ბიომასას დღე-ღამეში მიენოდება 2,5კგ საკვები. თუ ბიომასა არის 200 კგ მაშინ მიენოდება  $2 \times 2.5\text{კგ} = 5\text{კგ}$  საკვები და ა.შ.

### კვების რეკომენდაცია:

- კობრს საკვები მიენოდება საკვებურით ან წყალში ხელით მოფანტვის საშუალებით;
- ხელით კვების პირობებში კვება შეიძლება დღეში ორჯერ: დილით ადრე და შუადღით (წყლის 20 გრადუსზე და მეტი გათბობის შემთხვევაში შესაძლებელია სამჭერადი კვებაც);
- საკვების მიწოდება/მოფანტვა უმჯობესია მოხდეს ერთსა და იმავე ადგილას, რადგანაც კობრი სწავლობს და ეჩვევა გამოკვების ადგილს.

### გაფრთხილება:

- ტბორში წყლის ხარისხი, ჟანგბადის დაბალი შემცველობა, მძიმე მეტალები, მჟავიანობა, სიმღვრივე, ბიოლოგიური დაბინძურება და ორგანული ნარჩენებით დაბინძურება უარყოფით ზეგავლენას ახდენს კობრის ზრდაზე და პროდუქტიული მონაცემებზე.
- თევზის ჯანმრთელობაზე ასევე მოქმედებს მრავალი ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი დაავადება.

### ხარისხობრივი მახასიათებლები

ნედლი პროტეინი	31%
კალციუმი	1%
ნედლი უჭრედანა	6%
ფოსფორი	0,67%
ლიზინი	19 გ
ენერჯია	2600 კკალ (ME)
მეთიონინი	7 გ
ვიტამინი A	5 000 სე
ვიტამინი D3	1 500 სე